

# საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა – პრობლემები, რეალობა, პერსპექტივა

პროფესორი მამუკა თავხელიძე

გამოსვლა ოქსფორდის მრგვალი მაგიდის კონფერენციაზე

ოქსფორდი.

ივლისი, 2004

მაქვს პატივი მივესალმო ესოდენ წარმომადგენლობით ფორუმს და მადლობა მოვახსენო მის ორგანიზატორებს, განსაკუთრებით ბატონ კერნ ალექსანდრეს, ჩემი მიწვევისათვის ოქსფორდში. დამეთანხმებით, რომ ეს ფორუმი დიდ როლს ითამაშებს ჩვენ მომავალ საქმიანობაში, რადგან მოვისმენთ რა ერთმანეთის პრობლემებს–მივიღებთ ერთობლივ გადაწყვეტილებებს მათი მოგვარებისათვის. შევეცდები წარმოგიდგინოთ ჩვენი უნივერსიტეტი და საქართველოს განათლების სისტემა, არსებული პრობლემები, განვითარების ტენდენციები.

მოსხენებაში მოკლედაა განხილული გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიღწევები, მათ შორის, ევროკავშირის პროექტის შედეგები.

მოცემულია საქართველოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა, მათ შორის, განათლების პირველი კერების, ქართული ანბანის, ქართული სამეცნიერო სკოლებისა და მათი წარმომადგენლების შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველომ კაცობრიობას სამი ისეთი ადამიანი მისცა, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიოს განვითარების ვექტორი. ეს არის სტალინი, რომელმაც შექმნა საბჭოთა კავშირი და ამით სრულიად ახალი რეალობის წინაშე დააყენა კაცობრიობა. ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც დაანგრია პირველი ქართველის მიერ შექმნილი სახელმწიფო და მსოფლიო ბუნებრივ მდგომარეობას დაუბრუნა და მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც პოსტსაბჭოურ სივრცეში დასაბამი მისცა ახალი დემოკრატიული წესრიგის ფორმირებას.

მოსხენებაში გაკეთებულია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ტენდენციებისა და არსებული პრობლემების რეტროსპექტული ანალიზი, გამოთქმულია ავტორის მოსაზრებები მათი გადაჭრის გზების შესახებ.

მოსხენებაში გაანალიზებულია აგრეთვე, გლობალიზაციის პირობებში, ზოგადად, უმაღლესი განათლების განვითარების კანონზომიერებები, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების პირობებში მეტი ინტეგრაციაა საჭირო მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებს, განსაკუთრებით ახალგაზრდა უნივერსიტეტებსა და ტრადიციულ სასწავლებლებს შორის.